

მე - 3 ჟამნი

მღვდელი: კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი...

მედავითნე: ამინ.

დასაწყისი ღოცვები

მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე ალაცსებ მადლითა შენითა; საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვიდრე ჩვენ შორის და წმინდა მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩვენნი.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალებ ჩვენ (3-გზის).

დიდება, აწ და. ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგვიწყალებ ჩვენ; უფალო, გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან; მეუფეო, შეგვიინდე უსჯულოებანი ჩვენნი; წმიდაო, მოიხილე და განკურნენ უძლურებანი ჩვენნი, სახელისა შენისათვის.

უფალო, შეგვიწყალებ (3-გზის)

დიდება. აწ და.

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვთარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსნენ ჩვენ ბოროტისაგან.

მღვდელი: რამეთუ შენი არს სუფევა...

მედავითნე - ამინ.

უფალო შეგვიწყალებ (12 გზის).

დიდება. აწ და.

მოვედით, თაყვანის-ვსცეთ მეუფესა ჩვენსა, ღმერთსა.

მოვედით, თაყვანის-ვსცეთ და შეუვრდეთ ქრისტესა, მეუფესა ჩვენსა ღმერთსა.

მოვედით, თაყვანის-ვსცეთ და შეუვრდეთ თვით ქრისტესა, მეუფესა და ღმერთსა ჩვენსა.

### ფს. 16

ისმინე, უფალო სიმართლისა ჩემისა, მოხედენ ვედრებასა ჩემსა, ყურად-იღე ლოცვისა ჩემისაი არა ბაგეთაგან ზაკულთა. 2. პირით შენით განმართლები ჩემი გამოვედინ და თუალთა ჩემთა იხილედ სიწრფოებაი; 3. გამოსცადე გული ჩემი, განიხილე ღამე; გამომახურვე მე და არა იპოვა ჩემ თანა სიცრუვე. 4. რაითა არა იტყოდის პირი ჩემი საქმესა კაცთასა, სიტყუათათვის ბაგეთა შენთაისა მე დავიცვენ გზანი ფიცხელნი. 5. დაამტკიცენ ფერხნი ჩემნი ალაგთა შენთა, რაითა არა შემიბრკუმენ სლვანი ჩემნი. 6. მე ღაღად-ვჰყავ, რამეთუ ისმინე ჩემი, ღმერთო; მოყავ ჩემდა ყური შენი და ისმინე სიტყუათა ჩემთაი. 7. საკვირველ ჰყავ წყალობაი შენი, რომელი იხსნი მოსავთა შენთა მხდომთაგან მარჯუენისა შენისათა. 8. დამიცევ მე, უფალო, ვითარცა გუგაი თუალისაი და საფარველსა ფრთეთა შენთასა დამიფარო მე 9. პირისაგან უღმრთოთათისა, რომელნი მაჭირვებდეს მე; მტერთა ჩემთა სული ჩემი მოიცვეს, 10. და ცმელი თვისი შეიყენეს; პირი მათი იტყოდა ამპარტავანებასა. 11. განმაგდეს მე და აწ ესერა მომიცვეს მე, თუალნი მათნი ჰყვენეს დადრეკილ ქუეყანად. 12. შემრაცხეს მე ვითარცა ღომი განმზადებული ნადირსა და ვითარცა ლეკვი ღომისაი იყოფებინ რაი ფარულთა. 13. აღსდეგ, უფალო, უსწრვე მათ და დააბრკოლენ იგინი და იხსენ სული ჩემი უღმრთოთაგან, მახვილი შენი მტერთაგან ხელისა შენისათა. 14. უფალო, მცირედთაგან ქუეყანით მიმოდაჰყვენ იგინი ცხოურებასა მათსა და საიდუმლოთა შენთაგან, რამეთუ აღივსო მუცელი მათი, განძღეს ჰამადითა და დაუტევეს ნეშტი ყრმათა მათთა. 15. ხოლო მე სიმართლითა ვეჩუნეო პირსა შენსა, განვძღე გამოჩინებასა დიდებისა შენისასა.

### 24

1. შენდამი, უფალო, აღვიღე სული ჩემი. ღმერთო ჩემო, შენ გესავ, ნუ მრცხუნებინ მე უკუნისამდე, ნუცა მეცინიან მე მტერნი ჩემნი. 2. და რამეთუ ყოველნი, რომელთა დაგითმონ შენ, არა ჰრცხუნენეს. 3. ჰრცხუნოდენ მათ, რომელნი უჰსჯულოებენ ცუდად. 4. გზანი შენნი, უფალო, მაუწყენ მე და ალაგნი შენნი მასწავენ მე. 5. მიძელე მე ჭეშმარიტებითა შენითა და მასწავე მე, რამეთუ შენ ხარ ღმერთი მაცხოვარი ჩემი და შენ დაგითმე მარადლე. 6. მოიხსენე მოწყალებათა შენთაი, უფალო, და წყალობანი შენნი, რამეთუ საუკუნითგან არიან. 7. ცოდვათა სიჭაბუკისა და უმეცრებისა ჩემისათა ნუ მოიხსენებ; წყალობითა შენითა მომიხსენე მე სიტკბოებისა შენისათვის, უფალო. 8. რამეთუ ტკბილ და წრფელ არს უფალი; ამისთვის ჰსჯულიერ ჰყუნეს ცოდვილნი გზასა. 9. უძლუეს მშვიდთა სასჯელსა შინა, ასწავლენს მშვიდთა გზანი მისნი. 10. ყოველნი გზანი უფლისანი \_ წყალობა და ჭეშმარიტება მათთვის, რომელნი გამოეძიებენ აღთქუმათა მისთა და წამებათა მისთა. 11. სახელისა შენისათვის, უფალო, და მილხინე მე ცოდვისა ჩემისაგან, რამეთუ მრავალ არს. 12. ვინ არს კაცი, რომელსა ეშინის უფლისა? ჰსჯულიერ ჰყოს იგი გზასა მას, რომელიცა სთნდა; 13. სულმან მისმან კეთილთა შინა განისუენოს და ნათესავმან მისმან დაიძვიდროს ქუეყანაი. 14. ძალ არს უფალი მოშიშთა მისთა და ჰსჯული თვისი აუწყოს მათ. 15. თუალნი ჩემნი მარადის უფლისა მიმართ, რამეთუ მან განარინნეს მახესა ფერხნი ჩემნი. 16. მოიხილე ჩემ ზედა და შემიწყალე მე,

რამეთუ მხოლოდ-შობილ და გლახაკ ვარი მე. 17. ჭირნი გულისა ჩემისანი განმრავლდეს, ურვათა ჩემთაგან გამომიყვანე მე. 18. იხილე სიმდაბლე ჩემი და შრომაი ჩემი და მომიტევენ მე ყოველნი ცოდვანი ჩემნი. 19. იხილენ მტერნი ჩემნი, რამეთუ განმრავლდეს და სიძულილითა ამაოდ მომიძულეს მე. 20. იცევ სული ჩემი და მიხსენ მე და ნუ მრცხუნებინ მე, რამეთუ გესავ შენ. 21. უმანკონი და წრფელნი შემომეყვინეს მე, რამეთუ დაგითმე შენ უფალო. 22. იხსენ, ღმერთო, ისრაელი ყოველთაგან ჭირთა მისთა.

50

1. მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აჰხოცე უჰსჯულოებაი ჩემი. 2. უფროის განმზანე მე უჰსჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმიდე მე. 3. რამეთუ უჰსჯულოებაი ჩემი მე უწყი, და ცოდვაი ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის. 4. შენ მხოლოსა შეგცოდე და ბოროტი შენ წინაშე ვჰყავ; რაითა განჰმართლდე სიტყუათაგან შენთა და სძლო შჯასა შენსა. 5. რამეთუ ესერა უჰსჯულოებათა შინა მიუდგა და ცოდვათა შინა მშვა მე დედამან ჩემმან. 6. რამეთუ ესერა ჭეშმარიტებაი შეიყუარე, უჩინონი და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომიცხადენ მე. 7. მასხურო მე უსუპითა და განვსწმიდნე მე, განმზანო მე და უფროის თოვლისა განვსპეტაკნე. 8. მასმინო მე გალობაი და სიხარული, და იხარებდენ ძუალნი დამდაბლებულნი. 9. გარე-მიაქციე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან და ყოველნი უჰსჯულოებანი ჩემნი აჰხოცენ. 10. გული წმიდაი დაჰჰადე ჩემ თანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა. 11. ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან. 12. მომეც მე სიხარული მაცხოვარებისა შენისაი და სულითა მთავრობისათა დამამტკიცე მე. 13. ვასწავლნე უჰსჯულოთა გზანი შენნი და უღმერთონი შენდა მოიქცენ. 14. მიხსენ მე სისხლთაგან, ღმერთო, ღმერთო ცხოურებისა ჩემისაო, იხარებდეს ენაი ჩემი სიმართლესა შენსა. 15. უფალო, ბაგენი ჩემნი აღახუნენ, და პირი ჩემი უთხრობდეს ქებულებასა შენსა. 16. რამეთუ უკეთუმცა გენება, მსხუერპლი შე-მცა-მეწირა, არამედ საკუერთხი არა გთნდეს. 17. მსხუერპლი ღმრთისა არს სული შემუსრვილი, გული შემუსრვილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხ-ჰყოს. 18. კეთილი უყავ, უფალო, ნებითა შენითა სიონსა და აღეშენენ ზღუდენი იერუსალემისანი. 19. მაშინ გთნდეს მსხუერპლი სიმართლისაი, შესაწირავი და ყოვლად-დასაწუელი; მაშინ შესწირნენ საკურთხეველსა შენსა ზედა ზუარაკნი.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ. ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა ღმერთო. ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა ღმერთო. ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა ღმერთო ჩვენო დიდება შენდა.

უფალო შეგვიწყალენ (3-ჯერ).

*(ტრტპარი)*

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

## ღვ ღვთისმშობლისა

ღვთისმშობელო ქალწულო შენ ხარ ვენახი ჭეშმარიტი რომელმან გამოიღე ტევანი ცხოვრებისა, შენ გვედრებით მიმადლებულო, მოციქულთა თანა მეოხ გვეყავ ცხოვრებისათვის სულთა ჩვენთასა.

უფალი ღმერთი კურთხეულ, კურთხეულ არს ღმერთი დღითი დღე, წარგვიმართოს ჩვენ ღმერთმან მაცხოვარებისა ჩვენისანი, ღმერთი ჩვენი, ღმერთი მაცხოვარი.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვალო, შეგვიწყალებ ჩვენ (3-გ ზის).

დიდება, აწ და. ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგვიწყალებ ჩვენ; უფალო, გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან; მეუფეო, შეგვიინდე უსჯულოებანი ჩვენნი; წმიდაო, მოიხილე და განჰკურნენ უძლურებანი ჩვენნი, სახელისა შენისათვის.

უფალო შეგვიწყალებ (3-გ ზის)

დიდება. აწ და.

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვთარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.

მღვდელი: რამეთუ...

მედავითნე - ამინ.

(კონდაკი)

უფალო შეგვიწყალებ (40-ჯერ).

ლოცვა:

რომელი ყოველსა დღესა, და ყოველსა ჟამსა, მარადის ცათა შინა და ქვეყანასა ზედა თაყვანის-იცემები და იდიდები, ქრისტე ღმერთო, ცხოველო, სულ-გრძელო, და მრავალ მოწყალო, რომელსა მართალი გიყვარს, და ცოდვილთა ჰსწყალობ, რომელმან ყოველთა გვიწოდე ცხოვრებად აღთქმითა მით ყოფადთა კეთილთა შენთათა, შენ უფალო, შეიწირე

ლოცვაი ჩუენნი ჟამსა ამას, წარმართე ცხოვრებაი ჩუენნი მცნებათა შინა შენთა, სულნი ჩუენნი წმინდა-ჰყვენ, ხორცინი უბიწოდ, გონებანი განგვიწმიდენ, და გულის-სიტყვანი განგვიმართლენ, და გვიხსნენ ჩუენ ყოვლისაგან ჭირისა, ძვირთა და საღმობათაგან, და შეგვზღუდენ ჩუენ წმიდათა ანგელოსთა შენთა მიერ, რათა დაბანაკებითა მათითა დაცულნი და ძღვანებულნი, მივიწივნეთ ერთობასა სარწმუნოებისასა, და მეცნიერებასა უხილაგისა დიდებისა შენისასა, რამეთუ კურთხეულ-ხარ შენ უკუნიითი უკუნისამდე, ამინ.

უფალო შეგვიწყალენ (3-გზის)

დიდება. აწ და.

უპატოსნესსა ქერუბიმთასა, და აღმატებით უზესთაესსა სერაფიმთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვისა ღვთისასა, მხოლოსა ღვთის-მშობელსა გალობით გადიდებდეთ.

სახელითა უფლისათა მამაო გვაკურთხენ.

მღვდელი:- *ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთა..*

მედავითნე - ამინ.

მეუფეო ღმერთო მამაო ყოვლისა-მპყრობელო, უფალო ძეო მხოლოდ შობილო, იესო ქრისტე, და წმინდაო სულო, ერთო ღვთაებაო, ერთო ძალო, შემიწყალე მე ცოდვილი, და რომლითაცა მსჯავრითა უწყი, მაცხოვრე მე უღირსი მონაი შენი, რამეთუ კურთხეულ-ხარ შენ საუკუნითგან, და უკუნისამდე, ამინ.

*მე – 6 ჟამნი:*

მოვედით, თაყვანის-ვსცეთ მეუფესა ჩვენსა, ღმერთსა.

მოვედით, თაყვანის-ვსცეთ და შეუვრდეთ ქრისტესა, მეუფესა ჩვენსა ღმერთსა.

მოვედით, თაყვანის-ვსცეთ და შეუვრდეთ თვით ქრისტესა, მეუფესა და ღმერთსა ჩვენსა.

1. ღმერთო, სახელითა შენითა მაცხოვრებელ მე და ძალითა შენითა მისაჯო მე. 2. ღმერთო, ისმინე ლოცვისა ჩემისაი, ყურად-იხუენ სიტყუანი პირისა ჩემისანი. 3. რამეთუ უცხონი აღსდგეს ჩემ ზედა და ძლიერთა იძიეს სული ჩემი და არა შეჰრაცხეს ღმერთი წინაშე მათსა. 4. აჰა ესერა ღმერთი შემწე ჩემდა და უფალი შემწყნარებელ სულისა ჩემისა. 5. მიაქციო ბოროტი მტერთა ჩემთა; ჭეშმარიტებითა შენითა მოსრენ იგინი. 6. და მე ნებითა ჩემითა მსხუერპლი შევწირო შენდა, აუარო სახელსა შენსა, უფალო, რამეთუ კეთილ. 7. რამეთუ ყოვლისა ჭირისა ჩემისაგან, მიხსენ მე და მტერთა ჩემთა იხილა თუამლან ჩემმან.

1. ყურად-იდე, ღმერთო, ლოცვისა ჩემისაი და ნუ უგულებელს-ჰყოფ ვედრებასა ჩემსა. 2. მომხედენ მე და შეგესემინ ჩემი, რამეთუ შევწუხენ ზრუნვასა ჩემსა და შევძრწუნდი. 3. ხმითა მტერისაითა და ჭირითა ცოდვილისაითა; რამეთუ მოაქციეს ჩემ ზედა უჰსჯულოებითა და რისხვით მითქუმიდეს მე. 4. გული ჩემი შეძრწუნდა ჩემ თანა და შიში სიკუდილისაი დამეცა ჩემ ზედა. 5. შიში და ძრწოლიაი მომიხდა მე და დამფარა მე ბნელმან. 6. და ვსთქუ, ვინმცა მცნა მე ფრთენი ვითარცა ტრედისანი, და ავფრინდე მე და განვისუენო. 7. ესერა განვეშორე სივლტოლითა და განვისუენე უდაბნოსა შინა. 8. მოველოდე ღმერთსა, მაცხოვარსა ჩემსა სულ-მოკლებისაგან და ნიაჟარისა. 9. დაანთქენ, უფალო, და მიმოდაყვენ ენანი მათნი, რამეთუ ვიხილე მე უჰსჯულოებაი და ხდომიანი ქალაქსა შინა. 10. დდე და დამე გარე-მოადგეს მას და ზღუდეთა მისთა, და უჰსჯულოებაი და სიცრუე და შრომაი შორის მათსა. 11. და არა მოაკლდა უბნებსა მისსა აღნადგინები და ზაკუვაი. 12. რამეთუ მტერმან თუმცა მაყუედრა, მო-მცა-ვითმინე მისი და მოძულე თუმცა ჩემი ჩემ ზედა მდიდრად იტყოდა, და-მცა-ვემალე მისგან. 13. ხოლო შენ, კაცო, მოყუასო ჩემო, წინამღუარო ჩემო და მეცნიერო ჩემო. 14. რომელმან ერთბამად შენდა და ჩემდა დაატკბენ ჭამადნი, რამეთუ ვიდოდეთ ჩუენ ერთობით სახლსა ღმრთისასა. 15. მოვედინ სიკუდილი მათ ზედა და ცოცხლივ შთახდენ იგინი ჯოჯოხეთად; რამეთუ უკეთურებაი იყო სამკვიდრებელსა შინა მათსა და შორის მათსა. 16. მე ღმრთისა მიმართ ღაღად-ვჰყავ და უფალმან ისმინა ჩემი. 17. მწუხრი, დილეულ და სამხრად მიუთხრობდე და ვიტყოდი და ესმეს ხმისა ჩემისაი. 18. იხსნეს სული ჩემი მშვიდობით მახლობელთაგან ჩემთა, რამეთუ მრავლობით იყვნეს იგინი ჩემ თანა. 19. ესმეს ღმერთსა და დაამდაბლნეს იგინი, რომელი-იგი წინავე იყო საუკუნეთა; რამეთუ არა არს მათდა ნაცვალ, არცა შეეშინა მათ ღმრთისა. 20. მიყო ხელი მისი, რათამცა მიაგო მათ, რამეთუ მათ შეაგინეს ჰსჯული მისი. 21. განიყუნეს იგინი რისხვითა პირისა მისისაითა და მიეახლნეს გულნი მათნი, ლბილ იქმნეს სიტყუანი მათნი უფროის ზეთისა და იგინი იყვნეს ვითარცა ისრის პირნი. 22. მიუტევე უფალსა ზრუნვაი შენი და მან გამოგზარდოს შენ; და არა ჰსცეს შერყევაი უკუნისამდე მართალსა. 23. ხოლო შენ, ღმერთმან, შთაჰხადნე იგინი მღვიმესა მას განხრწნისასა; კაცთა მოსისხლეთა და მზაკუართა ნუ განაზოგნენ დღენი მათნი; ხოლო მე, უფალო, შენ გესავ.

1. რომელი დამკვიდრებულ არს შეწევნითა მალლისაითა, საფარველსა ღმრთისა ზეცათაისა განისუენოს. 2. ჰრქუას უფალსა: ხელის აღმპყრობელი ჩემი ხარი შენ და შესავედრებელი ჩემი, ღმერთი ჩემი, და მე ვესავ მას. 3. რამეთუ მან გიხსნეს შენ საფრხისა მისგან მონადირეთაისა და სიტყვისა მისგან განსაკრთომელისა. 4. ბეჭთ-საშუალითა მისითა გვარვიდეს შენ, და საგრილსა ფრთეთა მისთასა ესვიდე საჭურველად გარე-მოგადგეს შენ ჭეშმარიტებაი მისი. 5. არა გეშინოდის შიშისაგან დამისა და ისრისაგან, რომელი ფრინავნ დღისი; 6. ღუაწლისაგან, რომელი ვალნ ბნელსა შინა, შემთხუევისაგან და ეშმაკისა შუა დღისა. 7. დაეცნენ მარცხენით შენსა ათასეულნი და ბევრეულნი \_ მარჯუენით შენსა, ხოლო შენ არა მიგეახლნენ. 8. ხოლო

შენ თუალითა შენითა ჰხედვიდე და მისაგებელი ცოდვილთაი იხილო. 9. რამეთუ შენ, უფალი, ხარ სასო ჩემდა და მაღალი გიყოფიეს შესავედრებელად შენდა. 10. არა შევიდეს შენდა ძვირი, და გუემაი არა მიეახლოს საყოფელთა შენთა. 11. რამეთუ ანგელოზთა მისთადა უბრძანებებს შენთვის დაცუად შენდა ყოველთა შინა გზათა შენთა; 12. ხელთა მათთა ზედა აღვიპყრან შენ, ნუსადა წარსცე ქვასა ფერხი შენი; 13. ასპიტსა და ვასილისკოსა ზედა ხვიდოდი და დასთრგუნო შენ ლომი და ვეშაპი. 14. რამეთუ მე მესვიდა, და ვიხსნა იგი და დავიფარო იგი, რამეთუ იცნა სახელი ჩემი. 15. ხმა-ჰყოს ჩემდამო, და მე ვისმინო მისი და მის თანა ვიყო ჭირსა შინა; ვიხსნა იგი და ვადიდო იგი. 16. დღეგრძელობითა განვაძლო იგი და უჩუენო მას მაცხოვარებაი ჩემი.

დიდება მამისა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ. ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა ღმერთო. ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა ღმერთო. ალილუია, ალილუია, ალილუია, დიდება შენდა ღმერთო ჩვენო დიდება შენდა.

უფალო შეგვიწყალებ (3-ჯერ).

### (გროპარი)

დიდება. აწ და.

### ღვთისმშობლისა

რამეთუ არა მაქვს ჩვენ კადნიერებაი მრავალთაგან შეცოდებათა ჩვენთა, არამედ შენგან შობილსა ევედრე ღვთისმშობელო ქალწულო რამეთუ ფრიად შემძლებელ არს ვედრებად დედა ძისა მიმართ შეწყალებად მვედრებელთა მისთა, ნუ შეურაცჰყოფ ოხასა ჩვენ ცოდვილთათვის ყოვლადწმიდაო რამეთუ მოწყალე არს და ცხოვრებად ჩვენდა შემძლებელ რომელმანცა ჯვარსა ზედა ვნება ნებსით თვისით იდგა ჩვენთვის.

მსთვად მეწიენ ჩვენ წყალობანნი შენნი უფალო რამეთუ დავგლახაკენით ჩვენ ფრიად, შემეწიენ ჩვენ ღმერთო მაცხოვარო ჩვენო, დიდებისათვის სახელისა შენისა უფალო მისსენ და მილხინენ ჩვენ ცოდვათა ჩვენთაგან სახელისა შენისათვის.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალებ ჩვენ (3-გზის).

დიდება, აწ და. ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგვიწყალებ ჩვენ; უფალო, გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან; მეუფეო, შეგვიინდევ უსჯულოებანი ჩვენნი; წმიდაო, მოიხილე და განჰკურნენ უძლურებანი ჩვენნი, სახელისა შენისათვის.

### უფალო შეგვიწყალებ (3-გზის)

დიდება. აწ და.

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვთარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევენთ თანამდებთა მათ ჩვენთა, და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.

მღვდელი: *ასამაღლებელი...*

მედავითნე - ამინ.

### (კონდაკი)

### უფალო შეგვიწყალებ (40-ჯერ).

#### ლოცვა

რომელი ყოველსა დღესა, და ყოველსა ჟამსა, მარადის ცათა შინა და ქუეყანასა ზედა თაყვანის-იცემები და იდიდები, ქრისტე ღმერთო, ცხოველო, სულ-გრძელო, და მრავალ მოწყალებო, რომელსა მართალი გიყვარს, და ცოდვილთა ჰსწყალობ, რომელმან ყოველთა გვიწოდე ცხოვრებად აღთქმითა მით ყოფადთა კეთილთა შენთათა, შენ უფალო, შეიწირე ლოცვაი ჩუენნი ჟამსა ამას, წარმართე ცხოვრებაი ჩუენნი მცნებათა შინა შენთა, სულნი ჩუენნი წმინდა-ჰყვენ, ხორცინი უბიწოდ, გონებანი განგვიწმიდენ, და გულის-სიტყვანი განგვიმართლენ, და გვიხსნენ ჩუენ ყოველისაგან ჭირისა, ძვირთა და საღმობათაგან, და შეგვზღუდენ ჩუენ წმიდათა ანგელოსთა შენთა მიერ, რათა

დაბანაკებითა მათითა დაცულნი და ძღვანებულნი, მივიწინეთ ერთობასა სარწმუნოებისასა, და მეცნიერებასა უხილავისა დიდებისა შენისასა, რამეთუ კურთხეულ-ხარ შენ უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უფალო შეგვიწყალებ (3-გზის)

დიდება. აწ და.

უპატიოსნესსა ქერუბიმთასა, და აღმატებით უზესთაესსა სერაფიმთასა, განუსრწნელად მშობელსა სიტყვისა ღვთისასა, მხოლოსა ღვთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ.

სახელითა უფლისათა მამაო გვაკურთხენ

მღვდელი: ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთა..

მედავითნე - ამინ.

### ლოცვა

ღმერთო და უფალო ძალთაო, და ყოვლისა დაბადებულისა შემოქმედო, რომელმან სიტკბოებითა მიუწოთომელისა მოწყალებისა შენისათა, მხოლოდ შობილი ძეი შენი, და უფალი ჩუენი იესო ქრისტე, გარდამოავლინე ცხოვრებისა-თვის ჩვენისა, და პატიოსნითა ჯვართა მისითა ხელით წერილი ცოდვათა ჩუენტა განხეთქე, და შემუსრენ მის მიერ მთავრობანი და ხელმწიფებანი ბნელისანი, შენ მეუფეო კაცთ-მოყვარეო, შეიწირე ჩუენ ცოდვილთა სამადლობელი ესე და სავედრებელი ჭრტინვაი, და მისხნენ ჩუენ ყოვლისაგან ცთომილებისა, და საცთურიანისა ბნელისა, და ყოველთა ბოროტის-ყოფად მეძიებელთა ჩუენტა, უხილავთა მტერთაგან, განმსჭვალენ შიშითა შენითა ხორცინი ჩუენნი, და ნუ მისდრეკ გულთა ჩუენტა სიტყვათა მიმართ გინა გულის სიტყვათა უკეთურებისათა, არამედ სურვილითა შენითა მოსწყლენ სულნი ჩუენნი, რათა მარადის შენდა მომართ აღმტილველნი თვალითა და შენ მიერთთა ნათლითა განათლებულნი, შენ მიუწოთომელისა ნათლისა მოვივლტოდეთ, დაუცხრომელად აღსარებასა აღვაკლენდეთ და მადლობასა შევსწირვიდეთ შენდა, შენ დაუსაბამოისა ნათლისა მამისა, მხოლოდ შობილისა ძისა შენისა, და ყოვლად-წმიდისა სულისა შენისა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.